წელიწადი 1-ლი  გაზ. ფასი 3 შაური.  ტელეფონი № 76.  ხამშაბათი ოქტომბრის 17—(30) 1917

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
თვიურათ . . . 3 მან.
ოთხი თვით . . . 1 თუმანი.
ცალკე ნუმერი . . . 3 შაური.
განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ღირს . . . 2 აბაზი.
უკანასკნელ გვერდზე . . . 5 შაური.
ქალაქ გარედან მილებული განცხადება ღირს ერთი ორათ.
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ. 6 მ. 1 საათის შემდეგ 8 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 151  ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი  № 151

შავი ქვის მრეწველთა მეცხრამეტე კრება აუწყებს საზოგადოებას, რომ სამშაბათს, 17 ოქტომბერს ნაშუადღევის 3 საათზე (ძველი დროით) დანიშნულია პანაშვიდი შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარის

## გიორგი ზდანოვიჩის

სულის მოსახსენებლათ — ბაგრატის ტაძარის გალავანში, განსვენებულის საფლავზე.

---

ხუთშაბათს, 19 ოქტომბერს, დილის 9 საათზე, დ. კულაშში, ჯვარცმის ეკლესიაზე დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ტრაღიკულათ გარდაცვლილ,

## სვიმონ (ჭოტო) იასონის ძე

მიქელაძის სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ მწუხარებაში მყოფნი მშობლები: იასონ როსტომის ძე მიქელაძე და ანეტა შაქარის ასული მიქელაძისა ძმები: დავით, შალვა, ვარლამ და კონსტანტინე მიქელაძეები.

---

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

---

## საქართველოს ეროვ.-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 და საღამოს 7—9—დე პარტიის კანცელარიაში. თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციასთან.

---

## საქართველოს ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის ოზურგეთის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ქ. ოზურგეთში დაარსდა პარტიული ორგანიზაცია. წევრად ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება გერმანე გოგიტიძესთან. მასთანვე შეიძლება პროგრამის და პარტიულ ლიტერატურის მიღება.

---

## ქართველთა სამხედრო კავშირი

(ქუთაისის განყოფილება).

ამით აცხადებს, რომ კავშირში წევრად ჩაწერა შეუძლია ყველა ქართველ მხედარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხედრო ექიმებს და სამხედრო მოხელეებს). არა სამხედრო პირთ შეუძლიათ დამხმარე წევრად ჩაწერა. კავშირი უპარტიოა. კავშირს აქვს თავისი სამკითხველო, სადაც სწარმოებს წევრად ჩაწერა და შეწირულება მიიღება დილის 8—2 და საღამოს 5—9 საათამდის.

**მისამართი: ქუთაისი, ვორონცოვის ქუჩა, ქართველთა სამხედრო კავშირი:**

---

ქ. ყვირილაში მაზრის სამართველოს მახლობლად

## იყიდება სამოსახლო ბაღი

**ხილით და ვენახით სავსე, ათასოთხასი ოთხკუთხიანი საჟენი, ორ მხარეზე ქუჩებით, შიგ წყაროებით.** ფასისა და პირობების გასაგებათ მიმართეთ იქვე იაგორ ცერცვაძეს და ქუთაიში გაზ. ჩვენი ქვეყნის„ რედაქციაში

---

## ძმ. ქორქოლაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

სეარის მივიღეთ **ბორჯომის წყალი** დიდი და პატარა ბოთლები, ფასები ზომიერია.

---

**ჭიათურის უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლის პედაგოგიური საბჭო ამით აცხადებს, რომ**

## საჭიროა 3 მასწავლებელი:

ქართული ენისა, ხატვა-ხაზვისა და სხვა საზოგადო საგნებისა. სამსახურის პირობები შემდეგია: ჯამაგირი 1800 მ., ხუთ-წლიანი დამატება, „სამხედრო“ დამატება და მონაწილეობა მოსამსახურეთა კასაში. მსურველებმა უნდა გამოგზავნონ თხოვნა და დოკუმენტები 23 ოქტომბრამდი, ქ. ჭიათურაში პედაგოგიურ საბჭოს სახელზე.

---

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წყალგაღმა ზუბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ პარტიაში ჩაწერა და საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება საუბნო კომიტეტის ბინაზე, **ორპირის ქუჩა, ლოლობერიძის სახლი.** ახლო მომავალში იქვე დაარსდება სამკითხველო პარტიის წევრთათვის. იქვე შეიძლება პარტიის პროგრამის და ლიტერატურის მიღება.

---

**ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე.** იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი

---

**ექიმი**

**გ. ი. გოქიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 6—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.

---

**ექიმი შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფთ დღის 12—2 და საღამოს 5—7. მისამართი: თბილისის ქუჩა, № 46. ტელეფ. 87.

---

## ზავის მოლოდინში.

ქვეყნის გამანადგურებელი ომი თავდება. დღეს თუ ხვალ შეწყდება ის უცნაური სისხლის ღვრა და კულტურის მომსპობი თავდასხმა, რომლითაც განირჩეოდა ახლანდელი ომი ისტორიული ომებისაგან. ომი გათავდება, მაგრამ მის მწარე შედეგს კაცობრიობა ვერ დაივიწყებს, რადგან ზარალი დიდია და მისი ანაზღაურება ბევრ ძალას მოითხოვს.

დღეს ყველასათვის საინტერესო საკითხია, როგორი ზავი შეიკვრის. არსებითად საჭიროა კაცობრიობამ გაიგოს, რამდენი ხნით უზრუნველჰყოფს ზავი ქვეყნის მშვიდობიანობას და როგორ კალაპოტში ჩააყენებს სამეფოთა ცხოვრებას ზავის პირობები? ცხადია, არსებითად შეიცვლება სახელმწიფოთა საზღვრები, ახალ ნიადაგზე საგარეო და საშინაო პოლიტიკა ყოველი სახელმწიფოსი, გარდიქმნება ვაჭრობა-მრეწველობის მიმდინარეობა, გამოფსიზლდება და ბევრი ცოდვილი შეინანებს თავის ცოდვებს. აი ამ სინანულში იქნება დასაწყისი განახლებული ცხოვრებისა. რავდენათაც ღრმა იქნება შენანება, რამდენათაც მტკიცე იქნება დაგმობა წარსული ბოროტი გზისა, იმდენათ უფრო საიმედო იქნება განახლებული ცხოვრების დასაწყისიც.

ისიც ცხადია, რომ სინანულის გზას პირველ რუსეთი უნდა დაადგეს, რუსეთმა უნდა დაგმოს წარსული წესი მართვა გამგეობისა, რუსეთმა უნდა განდევნოს ყალბი რწმენა, რომლითაც დაბრმავებული იყო ძველი მთავრობა და ამით უჩვენოს გზა ცხოვრებისა ახალ მთავრობას.

სინანულის ფერხულში უნდა ჩაებას ქართველებიც. მართალია, ქართველები უფასონი არიან პოლიტიკურ სფეროში, მაგრამ კულტურულ მოძრაობაში, შინაური საქმეების მოწესრიგებაში და ოჯახური თავდარიგის დაჭერაში მათაც მძიმე ცოდვები აწევსთ. დაცემული მეურნეობა, შესუსტებული ქონება, დავიწროვებული ეროვნული თვითცნობიერება-ყოველივე ჩვენი ცოდვებია და მათი შენანება განახლებისათვის აუცილებელია.

ზავის მოლოდინში ყოველი სახელმწიფო თავის გეგმას ამზადებს და ეცდება სარგებლობა მიიღოს. როგორ გზას დაადგება რუსეთის დიპლომატია და რა უნარს გამოიჩენს მსოფლიო მოლაპარაკებაზე, ამას მომავალი გვიჩვენებს, მხოლოდ ეს კი ცხადია, რომ ამ საქმეში ჩვენ ბევრი არაფერი გვეკითხება. უწინაც დავიწყებული ვიყავით ასეთ საჭირო დროს და ახლაც ასე ვიქნებით, მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელსაც უნდა დაუკვირდეთ და რომელიც ერთგვარ თავდარიგს გვიკარნახებს.

დღევანდელი ომი ისე არ დასრულდება, რომ ყოველ სახელმწიფოს შინაური პოლიტიკა არ შესცვალოს. ცვლილება ყველგან მოხდება და სხვაზე მეტი რუსეთშია მოსალოდნელი. ერთი უმთავრესი საკითხი რუსეთის შინაური პოლიტიკის გამოსარკვევათ **ეროვნული საკითხია.** ეროვნული საკითხი უსათუოდ უნდა გადაწყდეს და გადაწყდეს ცხადათ, ფართოთ და საბოლოოთ, ამ საკითხის გადაჭრაში ყოველ-გვარი ყოყმანი და ვიწრო პოლიტიკური თვალსაზრისი მომავალის დამამხობელი იქნება. ვიმედობთ, რომ ეროვნული თვით გამორკვევის საკითხი ყოველთვის ცხადი იქნება, მაგრამ შესაძლებელია იმედი არ გამართლდეს. საუბედუროთ, რაც **ჩვენ ცხადათ** მიგვაჩნია, ის **სხვისთვის** კიდევ **ბუნებრივია.** სამწუხაროთ, **უფროსობას** შეჩვეული **თანასწორობას** ვერ ეგუება. პირად უპირატესობაში აღზრდილი სამართლიანობისა გრძნობაში ვეღარ ერკვევა; ამიტომაც მოსალოდნელია სხვაგან ადვილათ გადასაწყვეტი საკითხი რუსეთში გაძნელდეს.

აი ეს გარემოება გვავალებს დავფიქრდეთ. ეს გარემოება გვიკარნახებს საფუძვლიანათ დავემზადოთ, სავსებით ავნუსხოთ ჩვენი უფლება და გადაჭრით მოვითხოვოთ მისი აღდგენა და გამტკიცება.

ყოველი პოლიტიკური პარტია მოვალეა დამზადებული აზრი იქონიოს და საერთო მუშაობით **ეროვნულ საკითხზე** საფუძვლიანი **დეკლარაცია** შეადგინოს. ეს დეკლარაცია ერის სახელით ქვეყანას უნდა ემცნოს. საერთაშორისო მოლპარაკება ისეთ რთულ საკითხს, როგორც ეროვნულია, გვერდს ვერ აუვლის, თუნდა ის შინაურ პოლიტიკასაც ეკუთვნოდეს.

**ტრიფონ ჯაფარიძე.**

---

## მიმოხილვა.

**ეროვნული კრება.**

ამა თვის 13-ს თბილისში სასწრაფოდ შეკრებილმა საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის კონფერენციამ თანამედროვე პოლიტიკურ მომენტის და ტაქტიკის შესახებ შემდეგი დადგენილება გამოიტანა.

„მოეთხოვოს საქართველოს საპარტიათაშორისო საბჭოს დაუყონებლივ მოწვევა საქართველოს ეროვნულ კრებისა, რომელმაც უნდა აირჩიოს მთელი ქართველი ერის ნდობით მოსილი ეროვნული აღმასრულებელი საბჭო.

დადგენილება იმდენათ პოპულიარი და მარტივია, რომ ზედმეტად მიგვაჩნია განმარტება და რაიმე პროპაგანდა.

როგორც კონფერენციის ხსენებულ დადგენილებაშია აღნიშნული ამ ჟამათ ჩვენს წინაშე მეტად რთული და ძნელი კითხვები წამოიჭრა, რომელნიც პასუხს თხოულობენ.

ომის კრიზისი და მაზე მოყოლილი ანარქია, წალეკვას რომ უქადის მთელ რუსეთს. ორმუჭა ქართველებს, თუ სიკვდილი არ გვსურს, თავდაცვას უნდა შევუდგეთ.

კარს მომდგარი რუსეთის დამფუძნებელი კრება და ზავის კითხვა განსაკუთრებულ მოვალეობას გვაკისრებს.

დღემდის ერთმანეთისადმი კინკლაობაში გართულნი, პარტიულ სივიწროვით აღძრულნი დიდ ხელსაყრელ დროს ჩამოვრჩით.

აწ დახანებას ვერ გავბედავთ.

ლიტველები იწვევენ თავის ეროვნულ დამფუძნებელ კრებას და ლიტოვეთის საკეთილდღეოთ გერმანეთთან კავშირს არჩევენ.

პოლონელები სახელმწიფომბრივობის აღდგენას მოითხოვენ.

გულსაკლავი იქნება, ქართველი ხალხის სიკვდილს დაამტკიცებს, რომ ახლაც ვერ შევსძლოთ ეროვნულათ გამოსვლა და ჩვენი მისწრაფებათა განაღდება. რა დღეს ველოდებით? ვიცით რუსეთის ყოფა, რუსეთის დემოკრატია თვითონ დასტირის თავის თავს. რევოლუცია ანარქიად გადაიქცა და ქვეყანა ბრბოს ქვენა მიზნებს ექვემდებარება.

ჩვენი ინტერესი ამ დროს საკუთარ ხალხის დაფარვას გვიბრძანებს.

ნუ თუ ერთ დღეს არ უნდა მოხდეს სასწაული და გამოირკვეს სრულიად ქართველ ხალხის სამოქმედო გზა, მისი სურვილი და საჭიროება?

სანამდის უნდა ვიყოთ ასე—დეზორგანიზაციულათ?

თუ ერს უწოდებთ ჩვენს თავს, ეროვნული თვითმყოფელური თავმოყვარეობა გვაქვს, სულით მონები არ ვართ და თავისუფლება გვწადია რათ არ შევკრბებით ერის მთავარ იდეის გარშემო და მთელ ქვეყანას ჩვენს ლოზუნგს არ ვაუწყებთ.

ჩვენი თანამემამულენი წერეთელი და ჩხეიძე უფსკრულისაკენ გაქანებულ რუსეთის შვილებს ზე ადამიანურ გავლენით ერთად უჭრიან თავს და სამშობლოს სახსნელათ ერთდებიან...

დღეს ჩხეიძე და წერეთელი სამშობლოშია, დაე მათ შესძლონ დარღვეულ საქართველოს შეკავშირება, თავდასაცავად დაყენება. საქართველომ იგრძნოს, რომ ჩხეიძე და წერეთელი, რომელთაც მან ნანა უმღერა, მისი პირმშო შვილები არიან, მისთვის სამსახურს ეწევიან...

მაგრამ კმარა სიტყვები... იგი ყველას მოსწყინდა... საქმე გვიშველის,... დაჩქარდეს საქართველოს ეროვნულ ყრილობის მოწვევა.

*
* *

**მეუმრავლესენი და ეროვნული კითხვა.**

ეროვნული კითხვის სინამდვილით შეს-

წავლა და მისი სამართლიანად გადაჭრა რუსეთის ვერც ერთმა პოლიტიკურმა მიმართულებამ ვერ შესძლო.

რევოლუციამ დამონებულ ერებს თავისუფალ თვითგამორკვევის უფლება არგუნა. როდესაც ერები რევოლუციისგან ბოძებულ ამ ნაყოფით სარგებლობას შეუდგენ მაშინ კადეტები. სოც. დ-ბი და ს.-რ ბი ერთნაირათ აღუდგენ წინ რევოლუციის ლოზუნგის განხორციელებას. გაიხსენეთ სოც. რ—ს კერენსკის მუქარა ფინეთისადმი და უკრაინელთა მიმართ. არაფერს ვიტყვით იმპერიალისტ კადეტებზე.

მარქსისტ სოციალისტებს გამოეყოთ ერთი შტო ეგრეთ წოდებული „მეუმრავლესეთა“. მეუმრავლესეთ ყოველ გვარ კითხვაში რადიკალებათ მოაქვთ თავის თავი და აგრეთვე რადიკალები უწოდეს მათ ეროვნულ კითხვაში. მეუმრავლე'ეთა ლეიბ ორგანო „ნოვაია ჟიზნ“ ეხება ეროვნულ კითხვას და სწერს.

„ჩვენ ყველა ერებს ვანიჭებთ ფართე პოლიტიკურ თვითმართველობას, მაგრამ პროლეტარიატი ყოველთვის უნდა ებრძოლოს **ერთა ეკონომიურ სეპარატიზმს თუ კი ასეთი რომელიმე ეროვნულ პარტიას მრწამსათ ექნება აღსარებული.** რას ნიშნავს ეს? რა იქნება ის ფართე პოლიტიკური თვითგამორკვევა ერისთვის, თუ კი ერი ეკონომიურათ ცენტრზე იქნება მიჯაჭვული. პატარა ერებისთვის ცენტრალიზმი იყო დამღუპველი და თუ კი იგი ურყევი დარჩება სჩანს მცირე ერებს თამასუქი არ უნაღდდებათ.

ერები ცენტრალისტურ მდგომარეობაში რჩებიან მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ ამას ახლა ეკონომიური დამოკიდებულება ეწოდება.

მაგრამ განა მეუმრავლესეთა თქმაშია საქმე? სრულიადაც არა. ცენტრალიზმი, როგორც ასეთი, უკვე აღარ სცოცხლობს, იგი ცხოვრების აწინდელმა მიმდინარეობამ გააცამტვერა.

ყველა ერები თავისთვის ეწყობიან, საკუთარ ფუძეს იმაგრებენ.

მეუმრავლესეთა დეკლარაცია მათ ვერაფერს დააკლებს;

ჩვენი მიზანი იყო, მკითხველისთვის გვეუწყა, თუ როგორ დადებითად და სამართლიანად სწყვეტენ მეუმრავლესენი ეროვნულ კითხვას, რომლებიც ეროვნულ კითხვაში რადიკალებათ არიან წოდებული.

**ქართველ მწერალთა კონფერენცია.** თბილისში გრძელდება ქართველ მწერალთა პირველ კონფერენციის სხდომები. კონფერენციის მოწვევამ საყოველთაო სიხარული და სიმპატია გამოიწვია.

სამწუხაროთ სხდომების მუშაობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი. ქართველი მწერლები ვერ წარმოადგენ ისე, როგორც სამშობლო ხელოვნების ერთნაირი მსახურნი. როგორც ანგარიშებიდან ვტყობილობთ, გაჩენილა პარტიული განხეთქილება. ერთხელ მთელი სხდომა მონდომებია იმას, რომ სალამი მიეძღვნას, თუ არა ირ. წერეთელს და კარლო ჩხეიძეს.

ერთი ნაწილი მწერლებისა უხერხულათ სთვლიდა, რომ ჩხეიძეს და წერეთელს ისე გაგზავნოდათ სალამი, როგოროც ქართველ მოღვაწეთ. მეორენი წინააღმდეგნი იყვენ, რისთვისაც დემონსტრატიულათ სხდომა დასტოვეს.

ჩვენის ფიქრით ეს კითხვა სრულიადაც არ საჭიროებდა ამდენ გარჩევას და ტყვილათ დროს დაკარგავს. მწერლები უნდა მიესალმონ ჩხეიძეს და წერეთელს და იმას, თუ როგორი მსახურნი არიან იგინი საქართველოსი, ისტორია იტყვის. გარდა ამისა კონფერენციის გახსნისას მოხდა უსიამოვნება. რუს მწერლის ბალმონტის საპატიოთ თავმჯდომარეთ არჩევის შესახებ. ან ეს რისთვის დასჭირდათ. საქართველოში თავმჯდომარე არ აღმოჩნდა?

ერთ გაზეთში დაისტამბა პროტესტი, იმის შესახებ, რომ ერთი ჯგუფი კონფერენციაზე ხელოვნებას ომს უცხადებსო. ყველა ჩამოთვლილი ჩვენ მეტად არა სასიამოვნოთ მიგვაჩნია.

დღეს ამის დრო არ არის, ჩვენს მწერლობას, რომელიც ახლა სდგება განთავისუფლების გზაზე, წელში გამართვა და საკუთარ შემოქმედების გამომწვევ ფაქტორებზე ზრუნვა სჭირია. უნდა მოისპოს ნაშთი დამახინჯებულ მწერლობისა და ქართული მწერლობა შესდგეს ბუნებრივ განვითარების გზაზე. აქ რაა საპარტიო? ყველა მწერალ-ხელოვანნი ერთად უნდა იყვნენ და ერთ ეროვნულ ხელოვნების ტაძარს უნდა ემსახურებოდენ.

უსურვებთ ქართველ მწერლებს, რომ მომავალში მწყობრათ, შნოიანათ და ჩვენი ქვეყნის შესაფერისათ შეკრებილიყვნენ... მათ მუშაობას საქმიანობა დასტყობოდეს.

**ი. იმერელი.**

## გაქართულებული სკოლიდან უნივერსიტეტში.

საქართველოში არსებულ დაბალ და საშუალო სასწავლებლების ნაციონალიზაციამ ერთი კითხვა დაუსვა მოწაფეთა და მათ მშობლებს. ზოგიერთს ძლიერ აშინებს იმის პერსპექტივა, თუ რას იზამენ და რა მდგომარეობაში ჩავარდებიან ახლად—კურს—დამთავრებულნი, როდესაც ისინი უნივერსიტეტში შესვლას დააპირებენ. ქართულად ლექციების კითხვა რუსულ უნივერსიტეტებში უექველია არ იქნება და ,,ხომ გაუძნელდებათ მეცნიერების შეთვისება ქართულად აღზრდილ ყმაწვილებს?‘‘-არა ერთხელ მოგვისმენია, როგორც მშობლებისაგან, ისე თვით აბიტურიენტებისაგანაც.

ეს კითხვა ცოტა არ იყოს უცნაური არის.

ცხოვრებაში ლოღიკური გზით მსვლელობა ყოვლად აუცილებელი არის. მით უმეტეს ისეთ საკულტურო საქმეში, როგორიც არის სწავლა-განათლების ეროვნულ ნიადაგზე მიღება. ამასთანავე ერთი მოვლენა თავის თავად იწვევს პარელელურ, აუცილებელ მოვლენას.

თუ ამდენ ხანს ჩვენ ქართული უნივერსიტეტები და ქართული მეცნიერება არა გვქონდა, განა ეს ჩვენი უკულტურობის ბრალი არის? პირიქით, ჩვენს უკულტურობაზე მოლაპარაკენი თვით აღმოჩნდნენ კულტურის თითქმის პირველ ყოფილ, ველურ საფეხურზე და ეს „კულტურული“ ერი, გინდ სახელმწიფო, ლეონტიევებსა და უსტინოვიჩებს გვიგზავნიდა, რათა ნასახშივე ჩაეხრჩოთ ჩვენი ეროვნული კულტურის ზრდა და განვითარება. ასი წლის განმავლობაში მათ მიაღწიეს კიდეც თვალ საჩინო შედეგს. ქართული კულტურა, მეცნიერება ჩამორჩა არა თუ ევროპისას, არამედ თვით რუსეთისასაც კი და მისი დღევანდელი მდგომარეობა, ოდნავად გამოკეთებული ჩვენი შეურიგებლობისავე მიზეზით თუ ფეხდება. ამიერიდგან ნულარას დავაბრალებთ შავრაზმ-კასსოების პოლიტიკას. ქართული სწავლა-განათლების მესაჭედ თვით ქართველები არიან და მათ შორმჭვრეტელობაზედ არის სავსებით დამყარებული ჩვენი სკოლის ბედნიერება თუ უბედურება.

ცხადია, თუ ქართული სკოლა არა გვქონდა, არც ქართული უნივერსიტეტი გვექნებოდა. უფრო ცხადია, რომ თუ ქართული სასწავლებლები დაგვიარსდა, მას ბუნებრივად ქართული უნივერსიტეტის დაარსებაც თანაც სდევს. აკი ჩაეყარა კიდეც საფუძველი მის არსებობას. ქართული უნივერსიტეტის ადვილად და უმტკივნეულოდ შესათვისებლად კიდეც ისეთ ტაქტიკას დაადგა სკოლების გაქართულებაში ჩვენი საოლქო კომისარიატი, როგორიც ერთად ერთი მართალი და ჭეშმარიტი გზა იყო. ოთხ კლასამდის ქართულად, შემდეგ კი რუსულად. ეს მეოთხე კლასის მოწაფეები ისე მიაღწევენ სკოლის დამთავრებას, რომ ქართული უნივერსიტეტიც მზად დახვდებად და აღარც ჩრდილოეთისაკენ მოუნდებათ გამგზავრება უმაღლესი სწავლის მიღებისათვის.

და თუ მაინც დარჩება ზოგიერთ მშობლებში ის უკუღმართი შეხედულება განათლებაზე, ვითომ მხოლოდ რუსულად შეიძლებოდეს სწავლის მიღება, მაშინ მათი დაწყნარებაც შეგვეძლება. მათ შვილებს საფრთხე არავითარი მოელისთ. ისევე კარგათ შეუძლიანთ ქართულად სწავლა-მიღებულთ რუსულ უნივერსიტეტებში მეცადინობა, როგორც ამდენ ხანს. ყოველი ჩვენთაგანი რუსულადა ვართ აღზრდილი საშუალო სასწავლებელში და ბევრს ამათგანს არც უფიქრია რუსეთში სწავლის გაგრძელებაზე. მრავალი ქართველია, რომელიც საზღვარ-გარედ ეშურება, ვსთქვათ გერმანეთში. ასეთ პირებს გერმანული ენის იმოდენი გაეგებათ, რამდენიც ჩინურისა, აქაურ სასწავლებელში მიღებული ცოდნა გერმანული ენისა უფრო უცოდინარობა იყო: არც გრამატიკა, არც წერა, არც ხეირიანი კითხვა, არც გაგება თუ გინდ სამი ოთხი სიტყვისა. მაგრამ ეს ვერ აღმოჩენილა მათთვის იმის საკმარის საბუთად, რომ საზღვარ-გარეთის უნივერსიტეტში არ წასულიყვნენ უმაღლესი სწავლის მისაღებად. პირველ ხანს, მართალია სიძნელეს განიცდიან, მაგრამ გერმანულ, ფრანგულ თუ სხვა ატმოსფერაში ყოფნა, იმდენად ათვისებს გერმანულ, ფრანგულ ენას, რომ სამი თვის განმავლობაში ლექციებიც კარგად ესმისთ და ჰოი საკვირველებავ, ეგ. წოდ. „ზაჩოტებსაც“ კი იოლად აბარებენ. ექვსი თვის შემდეგ პირველ ეგზამენსაც აბარებენ და შემდეგ ხომ არაფრით უვარდებიან თვით მკვიდრ გერმანელ ან ფრანგ სტუდენტებსაც.

ეხლა გადიხედეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებში და დაინახავთ, რომ ბევრი ქართველი დოცენტებადა და ასისტენტებადაც იქმნენ დატოვებულნი უცხოეთის უნივერსიტეტებში.

მაშ რაშია საქმე, რამ შეაშინა ჩვენი ზოგიერთი უტილიტარისტი? განა იმისა ეშინიათ, რომ მათ შვილებს კარიერა წაუხდებათ მომავალში? კარგი მოხელე-ჩინოსნები ვეღარ იქნებიან განა? ესეც უსაფუძვლოა. შეუძლიანთ დაწყნარდნენ ჩვენი „ქართველები“. რუსეთში ადგილების ძიება გაეროვნებულ დაწესებულებებში აღარ იქნება საჭირო. რუს მოხელეთა შტატი იძულებული იქნება რუსეთს მიმართოს და ადგილები ქართულ დაწესებულებებში ქართველებისათვისვე დასტოვოს. ამასთანვე ჩვენი ეროვნული კულტურის ზრდა ისეთი ჩქარის ტემპით გაექანება წინ, რომ კარგ ხანს ნაკლებობაც გვექნება ინტელიგენტური ძალებისა, ასე რომ ეს საფრთხეც აშორებული იქნება თავიდან, ნუ თუ ეს ანბანური ჭეშმარიტება ვერ გაუთვალისწინებიათ ჩვენს მშობლებს? ყოველივე ეს პრაქტიკული მოსაზრებაც რომ მხედველობაში არ მივიღოთ ადამიანში იმდონი კეთილშობილური გრძნობა მაინც უნდა იყვეს, რომ ამ განკითხვის ჟამს მცირეოდენი მსხვერპლი მოუტანოს თვის ულვთოდ განაწამებ სამშობლოს. აბა გადახედეთ დედებო და მამებო თქვენს შვილებს, რა რიგ აღფრთოვანებულნი არიან ქართულის სწავლით. წარმოიდგინეთ ისინი, ქართველი ორატორები, ქართველი ხელოვნები, ქართველი მეცნიერები, ქართველი ექიმი, ვექილი, მასწავლებელი, ინჟინერი წარმოიდგინეთ ესენი წმინდა წყლის ქართულ ატმოსფერაში და შეიძლება თბილი გრძნობა, მამულის სიყვარული, მახვილგონებასთან ჰარმონიულად შეზავებული უფრო სასარგებლო გამოდგეს, ვინემ ვიწრო, ეგოისტური მოსაზრება.

**ინ ხანი**

## რუსეთის რესპუბლიკის საბჭო

**ოქტომბრის 12 სხდომა**

სხდომა იხსნება **ავქსენტიევის** თავმჯდომარეობით დილის 11 ს. და 30 წ. პრეზიდიუმის წინადადებით კრებამ დაადგინა პირადი შემადგენლობის კომისიას გადაეცეს დასადასტურებლად სხვა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების შუამდგომლობა საბჭოში მათი წარმომადგენლების დაშვების შესახებ. მიიღეს თავდაცვის კომისიის წინადადება ხსენებულ კომისიის ფლოტის 2 წარმომადგენლის შემსების შესახებ. პეტროგრადის დაცვის საკითხი საბჭოს დადგენილებით თავდაცვის კომისიამ უნდა განიხილოს.

საბჭო განაგრძობს თათბირს თავდაცვის შესახებ მთავრობის ცნობების გამო. კამათს იწყებს მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერი შტეინბერგი.

**შტეინბერგის სიტყვა.**

არც ერთ მიზანს, რომლის აღიარებითაც ურდით, რომ ხალხი ნდომბით მოჰქცეოდა ომს, ეხლა ხალხი აღარ იზიარებს. აქედან ცხადია, თუ რად დაჰკარგა ამ ომმა განმათავისუფლებელის შარავანდედი. მემარცხნე სოციალ დემოკრატებს სწამთ, რომ თავდაცვის საკითხი მჭიდროთაა დაკავშირებული საერთაშორისო კითხვებთან და პირველის გადაწყვეტასთან მეორეც უნდა გადასწყდეს. ორატორი კრიტიკას უკეთებს ჯარის ძლიერების აღსადგენად საბჭოს მემარჯვენე ფრთის მიერ წამოყენებულ ზომებს და ამბობს, ყოველის უპირველესად ჯარს სწყურია იცოდეს ომის მიზნებიო. რუსეთის რევოლუციამ მარტის 14 მანიფესტის გამოცხადებით სწორე ნაბიჯი გადადგა, მაგრამ ხელმძღვანელ პარტიებმა, მიუხედავად იმისა, რომ მხარს უჭერდნენ დროებითს მთავრობას, სიტყვა საქმედ ვერ აქციეს. სამშობლოს დასაცავად და ჯარში ბრძოლის სურვილის განსამტკიცებლად მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონრების აზრით, საჭიროა აქტიური საგარეო პოლიტიკა, რისთვისაც აუცილებელია მტკიცე რევოლუციურ მთავრობის შექმნა. (ტაში).

**აჯემოვის სიტყვა**

**აჯემოვი** აღნიშნავს, რომ ეხლა ყველას წინაშე ერთი საკითხია წამოყენებული: შეუძლიან თუ არა რევოლუციას თავისი თავის ხსნა. რევოლუციამ თავი უნდა იმართლოს სამშობლოსა და ისტორიის წინაშე. მან უნდა დაამტკიცოს, რომ იგი სამშობლოს სახსნელად მოხდა და არა სამშობლოს დასაღუპად (ტაში მარჯვნივ). ამისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა, რომ დროებითი მთავრობა სრულ უფლება მოსილებით იყოს აღჭურვილი. საფრანგეთში რევოლუციური მთავრობა უმეტესად ძლიერი იყო, ვინაიდან იგი ხალხს კი არ ებრძოდა, არამედ ძალას ხალხშივე პოულობდა. ჯარის მდგომარეობაზე ლაპარაკის დროს აჯემოვმა აღნიშნა, რომ სამხედრო მინისტრის გეგმა ჯარის გასაჯანსაღებლად სრული არ არის. მას აკლია წვრილმანი, რის გამოც გეგმა ნათელი არ არის. თუ სამხედრო მინისტრს ჯარში ბრძოლის სურვილის განმტკიცება აქვს სახეში ჩვენც მასთან ვართ, მაგრამ თუ მისი დაშლა განუზრახავთ— ასეთი რეფორმის წინააღმდეგნი ვართ. (ტაში). ეხლა, როდესაც რუსეთის მეოთხედი დაპყრობილია, ყველა ჯარისკაცისთვის ნათელი უნდა იყოს ომის უპირველესი მიზანი—მტრის განდევნა საზღვრებიდან. იმ ორატორების საწინააღმდეგოდ, რომელნიც პირველ რიგში ზავის საკითხს აყენებდნენ—აჯემოვმა განაცხადა, რომ უპირველეს ყოვლისა ჯარი ზავის ხმებმა დაშალესო. ხალხს უნდა უთხრათ, რომ მიწაში ჩხრეჭილი ხიშტების მაღლა ამართული წვერები. ინტერნაციონალისტების საწინააღმდეგოდ -აჯემოვმა განაცხადა: ჩვენთვის ინტერნაციონალი გაუგებარია, რადგან ჩვენს სამშობლოსთვის ვაუთ, ისინი კი არ ვიცით, ვისთვის იბრძვიანო (ტაში მარჯნივ).

**ლიბერის სიტყვა**

ლიბერი უკმაყოფილოა იმით, რომ თავდაცვის საკითხის განხილვის დროს რევოლუციას დიდი საბრალმდებლო ოქმი წარუდგინეს. ის პირნი, რომელნიც გამეტებით ლაპარაკობდნენ ძველი წესწყობილების უვარგისობაზე, სახელმწიფოს ელემენტარულ თავდაცვისთვის, დღეს ამტკიცებენ, რომ ძველი რეჟიმის დროს იყო ლაშქარი, რომელიც იმარჯვებდაო. ბრალი კი ნამდვილად გამეფებულ კლასების წარმომადგენლებს ედებათ, რომლებმაც აღიარეს ლოზუნგები: „ომი გამარჯვებამდის“, „დარდანელამდე“, „სტამბოლამდე“ (ტაში მარცხნივ). თავდაცვის მიზნებს ჯარი შეასრულებს, ოღონდ საჭიროა, ნდობა დავიმსახუროთ მისიო. ორატორს საჭიროდ მიაჩნია ჯარის შემცირება, რომ უკანასკნელი უფრო მოძრავი, ძლიერი და ღონიერი იყოს. ჯარში დისციპლინის აღსადგენად საჭიროა შიგნით სახელმწიფოში იქმნეს დაცული წესიერება. კორნილოვის მეთოდი უფრო დაარღვევს დისციპლინას, საჭიროა თვით ორგანიზაციის შექმნა ჯარის ორგანიზაციების დახმარებით. სიკვდილით დასჯა უნდა მოისპოს, რადგანაც ის დემოკრატიის ელემენტალურ საღ გრძნობებს ეწინააღმდეგებაო. ორატორს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია ოფიცერთა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესება და ჯარისკაცთა ოჯახებისთვის კერძის გადიდება. სოც. დემოკრატების გაეუთიანებულ ფრაქციის სახელით ლიბერი კითხულობს მორიგ საკითხებზე გადასვლის ფორმულას, რომელშიაც ნათქვამია, რომ ჯარის საომარი ღირსების დაცემის მიზეზები არის: ომის ხანგრძლივობა, სახელმწიფოს ეკონომიური რღვევა, ჯარისა და სარდლების შორის უნდობლობა. ჯარის კაცთა ხელმძღვანელების პოლიტიკური მოუმწიფებლობა, საგარეო და საშინაო პოლიტიკის სისუსტე. ჯარის აღსადგენად ფორმულას საჭიროდ მიაჩნია: ომის თავდაცვითი ხასიათის გამოაშკარავება, რაც შეუძლებელია, თუ არ იქნება შემოღებული მტკიცე ეკონომიური პოლიტიკა, დაუყოვნებლივ სიკვდილის დასჯის გაუქმება, დაუნდობელი ბრძოლა კონტრ-რევოლუციონერების დარბევებისა და მოძრაობების წინააღმდეგ, ჯერძოდ საჩქაროდ უნდა გადაეცეს სასამართლოს კორნილოვის და ჰელსინგფორსში და ვიბორგში აფიცრების დახოცვის საქმე.

## რევოლუციის ამბები.

ტ. დ.-ს.

**დეპეშები.**

**ტყვეების გადასახლება მოსკოვიდან**

**მოსკოვი.** ოქტომბრის. 11. პეტროგრადიდან მოწერილობა მიიღეს დაუყოვნებლივ გაიყვანონ მოსკოვში მყოფი ყველა სამხედრო ტყვეები. გადაიყვანონ აგრეთვე სხვადასხვა დაწესებულებებში მომუშავე ტყვეები.

**ნაბოკოვის ელჩად დანიშვნა**

**პეტროგრადი.** ოქტომბრის 12. რუსეთის ლონდონელ ელჩის მრჩეველი ნაბოკოვი ნორვეგიის ელჩად დაინიშნა.

**საზოგადო მოღვაწეთა თათბირი**

**მოსკოვი.** ოქტომბრის 12. საზოგადო მოღვაწეთა თათბირზე როძიანკომ აღნიშნა, რომ სამშობლოს სახსნელად საჭიროა მთელი ერის ძალა და მტკიცე სახელმწიფოებრივი მთავრობა. ზავის ჩამოგდებაზე როძიანკომ განაცხადა: ეს მოკავშირეთა ღალატი იქნებაო. ტრუბეცკოიმ აღნიშნა, რომ რუსეთი საშინლად ავადაა, მაგრამ ნიშნებია რომ საზოგადოებრივი ჯგუფები ანარქიულ მოძრაობას თავს ანებებენ. ილაპარაკა აგრეთვე პროფესორ კიზივეტტერმა, ნოვგოროდცევმა, მარტოვმა, ბოტკინმა და სხვებმა!.. კრებამ ოვაცია გაუმართა გენერალ ბრუსილოვს, რუზსკის და სხვა ოფიცრებს.

**პეტროგრადის დაცვა**

**პეტროგრადი.** ოქტომბრის 12. დეპ. საბჭოების აღმ. კომიტეტმა დაადგინა ქალაქის დაცვისათვის ჯარის საომარ ძალის შესაქმნელად დაარსოს დროებითი სარევოლუციო კომიტეტი, რომელშიაც შევა: საბჭოების პრეზიდიუმი, ჯარის კაცთა სექცია, ფლოტის ცენტრი, ფინეთის საოლქო კომიტეტი, სარკინიგზო და საფოსტო-ტელეგრაფო კავშირები, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების და პროფესიონალ კავშირების საბჭო, პარტიათა სამხედრო ორგანიზაციები და მუშათა მილიცია.

**ბოლშევიკური რეზოლუცია**

**პეტროგრადი.** ოქტომბრის 11. დეპ. საბჭოების ჩრდილოეთის საოლქო ყრილობამ ბოლშევიკური რეზოლუცია გამოიტანა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ძალაუფლება სახელმწიფოსი დაუყოვნებლივ დემოკრატიულ ორგანოების ხელში გადავიდეს. ამას გარდა აღნიშნულია ჯარის სამხედრო ღირებულების აწევის საჭიროება.

**საბერძნეთის მეფის წერილი კერენსკის სადმი**

**პეტროგრადი.** ოქტომბრის 13. პეტროგრადში მყოფმა საბერძნეთის ელჩმა კაკლამანოსმა მეფე ალექსანდრეს საკუთარი ხელთნაწერი წერილი გადასცა მინისტრ-თავმჯდომარეს. მეფე ალექსანდრე აცნობებს რუსეთის მთავრობას მის საბერძნეთის ტახტზე ასვლას და აღნიშნავს ტრადიციულ მეგობრობას და კავშირს საბერძნეთისა და რუსეთის შორის. კაკლამანოსმა მეფის სახელით რუსეთს დღეგრძელობა უსურვა. საპასუხო სიტყვაში კერენსკიმ სიხარული გამოსთქვა ამის გამო და განაცხადა, რომ დროებითი მთავრობა შეეცდება რუს-ბერძნების შორის მეგობრობის გამტკიცებას

## ეროვნული კითხვა.

**სამშობლო ენის უზრუნველყოფა.**

**პეტროგრადი.** ოქტომბრის 12. შინაგან საქმეთა სამინისტროს ეროვნულმა განყოფილებამ შეიმუშავა კანონპროექტი რომელიც რუსეთის ერებს ნებას მისცემს სამმართველო დაწესებულებებში სამშობლო ენის ხმარებისას.

**პოლონელთა ეკონომიური დელეგაცია.**

**პეტროგრადი.** ოქტომბრის 12. კოხოვსკიმ მიიღო მთავარ ეკონომიურ კომიტეტთან დაარსებულ პოლონელთა ეკონომიური დელეგაცია.

**ლიტველთა კონფერენცია.**

**სტოკჰოლმი.** ოქტომბრის 11. გამოქვეყნდა ლიტველთა სეიმის რეზოლუცია. რეზოლუცია გამოტანილია სექტემბერში ქ. ვილნოში მომხდარ სხდომაზე. რეზოლუციით ლიტველნი მოითხოვენ დამოუკიდებელ ლიტვის შექმნას და ვილნოში დამფუძნებელ კრების მოწვევას, რომელსაც ყველა ლიტველი უნდა დაესწროს. რეზოლუციაში აღნიშნულია: თუ გერმა-

ნეთი აღვუთქვამს მომავალ კონფერენციაზე ლიტვეთის ინტერესების დაცვას, ლიტველთა სეიმი თანხმობას განუცხადებს გერმანეთთან კავშირზე, რადგან ლიტვის ინტერესებს დასავლეთში უფრო კარგად დაიცავენ. გერმანეთმა ლიტვის თავისუფალ განვითარებას ხელი არ უნდა შეუშალოს.

**პოლონეთის დემოკრატიული ყრილობა.**

**პეტროგრადი.** ოქტომ. 12. პოლონეთის დემოკრატიულმა ყრილობამ დაადგინა, რომ რუსეთში მუდმივად მცხოვრებ პოლონელებს უფლება ჰქონდეთ დამფუძნებელ კრებაზე წარმომადგენლის გაგზავნისა. პოლონელმა დეპუტატებმა ფედერატიულ რესპუბლიკის იდეა უნდა დაიცვან. ომის გათავების შესახებ ყრილობამ დაადგინა, რომ პოლონეთის ბედის გადაწყვეტა მხოლოდ მაშინ იქნება სამართლიანი, თუ პოლონეთს სრულიად დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გამოაცხადებდენ და ზღვისაკენ გასავალს მისცემენ ყრილობამ აირჩია დემოკრატიული კომიტეტი და პოლიტიკური საბჭო.

**კრეისერის უკრაინიზაცია**

**სევასტოპოლი.** ოქტომ. 12. ბალტიის ფლოტის კრეისერის „სვეტლანას" უკრაინიზაციისა და ცენტრალ რადისაგან დეკლარაციის მიღების გამო შავ ზღვაზე უკრაინული დროშები აღმართეს.

**ფინლიანდიის ეროვნული სენატი.**

**ჰელსინგფორსი.** ოქტომბ. 12. პარტიულ ბელადებთან გენერალ-გუბერნატორმა მოლაპარაკება გამართა იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელია სოციალისტების მონაწილეობით ეროვნული სენატის შექმნა. ოქტომბრის 11 გენერალ გუბერნატორი ინახულეს პარტიის წარმომადგენლებმა, ხოლო 12—ახალგაზრდა ფინების და ძველი ფინების პარტიის წარმომადგენლებს სოციალისტებთან მოლაპარაკება უკვე ჰქონიათ.

**მკვლელობა და გაცარცვა**

**ასტრახანი.** ოქტ. 12 კრასნი იარიდან მოსულ გემზე აღმოაჩინეს ლეში ჩერნიცოვის სასურსათო კომიტეტის რწმუნებულის დემონცკისა მკვლელობის შემდეგ 15.000 მან. ამოუღლიათ.

**დარბევის წინააღმდეგ**

**კურსკი.** ოქტ. 12. ქალაქის საბჭომ დაადგინა 10.000 მან. გაიღოს ადგილობრივ მეციხოვნე ჯარის არტილერისტების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რომლებმაც ქალაქში დაწყებული რბევა შეაჩერეს: ჯარის კაცების რეზოლიუცია კი, რომელშიაც ნათქვამია, რომ ისინი არ დაუშვებენ ქალაქში რბევას, დაადგინეს ოქროს ჩარჩოში ჩასმული საბჭოს დარბაზში ჩამოჰკიდონ.

**მუშათა საბჭოების გაუქმება**

**პეტროგრადი.** ოქტომბრის 12. „მუშ. და ჯარ. დეპ. საბჭოთა ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტის უწყებებ"-ში და „ჯარისკაცის ხმა"-ში ერთ და იმავე დროს მოთავსებული იყო წერილი ამ სათაურით: „საბჭოთა ორგანიზაციის კრიზისი", რომელმაც პოლიტიკურ და დემოკრატიულ წრეების ყურადღება მიიპყრო. წერილში აღნიშნულია, რომ 800 ადგილობრივ საბჭოთაგან დღეს ბევრი აღარ არსებობს და, თუ არსებობს მხოლოდ ქაღალდზე. წერილი აღიარებს, საბჭოები აღარ წარმოადგენენ საერთო დემოკრატიულ ორგანიზაციასაო. ამ ორგანიზაციის გარეშე დარჩა გლეხობის გარდა ისეთი ცენტრების, როგორიც არის პეტროგრადი და მოსკოვი, დემოკრატიაც გათიშული. საბჭოებში მონაწილეობას არ იღებენ ინტელიგენციის დიდი ნაწილი და ყველა მუშები. ერთ მთავარ მიზეზთაგანი ამ მოვლენისა ის არის, რომ ადგილობრივ თვითმართველობის დემოკრატიულ ფორმები მტკიცდება. ასეთი თვითმართველობის შემოღების შემდეგ ბუნებრივად საბჭოების როლი შესუსტდა. საბჭოების ჩინებულ ორგანიზაციას წარმოადგენდენ ძველ რეჟიმთან საბრძოლველად, მაგრამ უსუსური გამოდგა ახალი რეჟიმის შესაქმნელად. მაშასადამე, საბჭოების დაცემის მიზეზი ორგვარია: ორგანიზაცია და უარყოფითი როგორც მაგალითად: პოლიტიკურ ინტერესის შესუსტება, ანარქია და უკულტურო წრეების აღვირ ახსნილობა, კულტურული ელემენტების სუსტი ორგანიზაცია და დადებითი: ახალი თავისუფალი რუსეთის სახელმწიფო და საზოგადო ცხოვრების დაწყება,—ამიტომაც—ამბობს გაზეთი—გვინდა, რომ საბჭოთა დროებითი ორგანიზაციის მაგივრად მუდმივი, სავსე და ყოველმხრივი ორგანიზაცია სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ ცხოვრებისა.

## უკანასკნელი დეპეშები.

შავი ზღვის სანაპიროებთან რუსეთის ფლოტი ოსმალეთის კრეისერს შეებრძოლა.

—

ხმებია თითქოს გალიციაში მცხოვრებ ნი გერმანელებს აეჯანყენ გალიციიდან პურის გაზიდვის გამო.

—

ბერდიჩევიდან იტყობინებიან 25,000 ავსტრიელი ჯარისკაცი ბრძოლის გაგრძელებაზე უარს აცხადებსო

—

პეტრეს ქალაქის ესერთა ცენტრალი კომიტეტი აცხადებს, რომ პეტრე დეკსიკსკი პროვოკატორია, იგი თანამშრომლობდა საპოლიციო დეპარტამენტში. ესერთა პარტია მოუწოდებს დეკსკასკის დასატყვევებლად.

—

უკრაინის გენერალ სეკრეტარიატმა მიიღო დრ. მმართველობისგან საფინანსო სამინისტროს პროექტი. საფინანსო სამინისტროს განაგებს გენერალ სეკრეტარიატის მიერ არჩეული პირი.

—

**ყაზანში** ერთ პრაპორშჩიკს და პორუჩიკის მეთაურობით გაიმართა ჯარისკაცთა მიტინგი; ერთმა ნაწილმა დაადგინა გერმანეთთან სასწრაფოთ ზავის ჩამოგდება, მეორე ნაწილი ამ დადგენილების წინააღმდეგია, განგრძობას მოითხოვს. ქალაქში სიწყნარეა.

—

ოდესაში მიღებულ ცნობის თანახმად სტამბოლის არსენალში აფეთქება მომხდარა, რასაც დიდი ზარალი გამოუწვევია, ადამიანთა მსხვერპლიც დიდია.

## ახალი ამბავი.

### ქ უ თ ა ი ს ი.

**ნაციონალიზაციის გარშემო.** ქუთ. კლასიკურ გიმნაზიის პედაგოგიურ საბჭოს კრებაზე ოქტომბრის 14-ს გამოირკვა, რომ 6 არა-რუსისგან შემოსულა თხოვნა მათი შვილების რუსულ განყოფილებაში მოთავსების შესახებ. მოწაფეთაგან ორი ქრისტიანი ქართველი და ოთხიც ისრაელი ქართველი ყოფილა. პედაგოგიურმა საბჭომ მშობლების თხოვნის დაკმაყოფილება შესაძლოდ ვერ სცნო.

✦ **ქუთაისის სამიწისმზომლო ოლქში** უკვე ორი თვეა, რაც მუშაობა სწარმოებს სტატისტიკის შესადგენად იმის შესახებ, თუ რამდენია გუბერნიაში სახაზინო, საეკლესიო, სამონასტრო და კერძო პირთა მამული, არკვევენ აგრეთვე რიცხვსა და ზომას იმ მამულებისას, რომელთა შესახებ დავაა გამართული ხაზინასა და კერძო პირთა შორის.

ამიერ-კავკასიის ყველა გუბერნიიდგან ასეთი სტატისტიკური ცნობები მოგროვდება თბილისის სასამართლო პალატასთან არსებულ სამიწისმზომლო უწყებაში, სადაც სათანადო დამუშავების შემდეგ პეტროგრადს გადიგზავნება.

✦ **კანდიდატები დამფუძნებელ კრებაზე.** საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულმა პარტიამ დამფუძნებელი კრებისთვის უკვე წამოაყენ თავისი სია. სიაში შედის სპ. კედია, გ. გვაზავა, შ. ქარუმიძე ი. მაჭავარიანი, ვ. წერეთელი ა. თორაძე და სხვები. სიაში შეტანილია აგრეთვე ერთი მუსულმანი ქართველი.

✦ **სამუსიკო სკოლა.** კომპოზიტორ მ. ბალანჩივაძეს განუზრახავს ქ. ქუთაისში დაარსოს სამუსიკო სკოლა.

✦ **მცხოვრებლებზე გადასახადი გაწერა.** ქუთაისის საგუბერნიო აღმასრულებელმა კომიტეტმა ონის აღმასრულებელ კომიტეტს ნება დართო მცხოვრებლებსა და ვაჭრებზე გააწეროს გადასახადი ონის სხვა და სხვა საჭიროებისათვის.

✦ **ქალაქის ვალი.** ქუთაისის ქალაქის თვითმართველობას დღემდის ვალი აქვს 765,706 მანეთი.

✦ **შაქრის გაძვირება.** სასურსათო სამინისტროს დაუდგენია 1917 წელში დამზადებული შაქარი ორჯერ გააძვიროს.

✦ **სახალხო მასწავლებელთა ჯარიდან განთავისუფლება.** ახალი განკარგულებით ამ მოკლე ხანში განთავისუფლებული იქნება ჯარიდან ყველა სახალხო მასწავლებელი.

✦ **გუბერნიის სასურსათო კომიტეტში.** 15 ოქტომბერს შესდგა საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის კრება. კრებას დაესწრო თითქმის ყველა მაზრებიდან სამაზრო კომიტეტების წარმომადგენლები. მაზრების მდგომარეობას სურსათის მხრით ყველა საშინელ სურათს ხატავს. მოითხოვენ პურს, სიმინდს, ფქვილს, ფართლეულობას და ყოველგვარ უსაჭიროეს საქონელს. მაგრამ სასურსათო კომიტეტი ყველას ასეთ პასუხს აძლევს: არ არის ვაგონები არ არის სურსათი. კრებამ სასურველად იცნო შესდგეს სამაზრო სასურსათო კომიტეტები.

✦ **ქუთაისის საგუბერნიო** აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა ხელ-ახლა გადასინჯოს თავისი დადგენილება ინსპექტორების დანიშვნის შესახებ.

✦ **თოფის წამლის შეძენა.** ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი ატყობინებს ქუთაისის გუბერნიის კომისარს, რომ მონადირეებს თოფის წამლის შეძენა შეუძლიათ მხოლოთ გუბერნიის კომისრის ნებართვით.

✦ **პური.** ქუთაისის სასურსათო კომიტეტმა პურის ბარათები უკვე დაამზადა. თვითეულ სულს მიეცემა დღეში მხოლოდ 1 გირვანქა პური. პურის დარიგების ასეთი სისტემა შემოღებულ იქმნება 20 ოქტომბრიდან.

✦ **პურის ფქვილი.** სასურსათო სამინისტროს მთავარი რწმუნებული ქუთაისის სასურსათო კომიტეტს ატყობინებს, რომ ნოვოროსიიდან გამოგზავნილია 30 ვაგონი პურის ფქვილი, თფილისიდან 5 ვაგონი ხორბალი და ზაქათალიდან 5 ვაგონი პურის ფქვილი.

✦ **ქართველ მწერალთა კონფერენცია.** 15 ოქტომბერს თბილისში დასრულდა ქართველ მწერალთა კონფერენცია.

✦ **კორძაიას კერძო სასწ. გარშემო.** ამას წინათ კორძაიას ქალთა კერძო სასწავლებლის მასწავლებლებმა ამ სასწავლებლის ზედამხედველს მოთხოვნილება წარუდგინეს, რომ მათთვის ჯამაგირები მოემატებიათ (ღებულობდენ მხოლოდ 25 მანეთს) სასწავლებლის ზედამხედველმა მასწავლებლების თხოვნა უყურადღებოთ დასტოვა და ისინი (8 მასწავლებელი ქალი და ერთი მღვდელიც) სამსახურიდან დაითხოვა. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია სამოსწავლო კომისარმა და საგუბერნიო აღმასრულებელმა კომიტეტმა და თავის უკანასკნელ კრებაზე დაადგინა: მიეცეს კორძაიას ქალს წინადადება, რომ ხსენებულ მასწავლებლებს თავისი ადგილები დაუბრუნოს და მათი მოთხოვნილებაც დაკმაყოფილებულ იქმნას.

როგორც დათხოვნილ მასწავლებლებმა გადმოგვცეს, კორძაიას ქალს მათ ადგილზე სხვა მასწავლებლები უკვე მოუწვევია, მიუხედავათ იმისა, რომ დათხოვნილმა მასწავლებლებმა გაზეთების საშუალებით გამოაცხადეს, რომ მათი ადგილები საქმის გამორკვევამდის არავის დაეჭირა. ძველი მასწავლებლები აღშფოთებული არიან ამხანაგების და კორძაიას ქალის ასეთი საქციელით და იმათგან პასუხს მოითხოვენ.

✦ **ვ. ალშიბაიას** საქმე, რომელსაც აკრძალული ჰქონდა სენაკსა და ზუგდიდში ცხოვრება, აღმასრულებელმა კომიტეტმა საგამომძიებლო კომისიას გადასცა.

✦ **თეატრი.** დღეს, 17 ოქტომბერს ქალაქის თეატრში ვ. ბარველი. რეჟისობით წარმოდგენილ იქნება „მაღაროს მუშა" და „ბედნიერი დღე" ირეთელისა.

✦ **სწავლის დაწყება** ქუთაისის მესამე გიმნაზიაში სწავლა გუშინ 16 ოქტომბრიდან დაიწყო.

✦ **გიფიცვა** შორაპნის მაზრის სოფლების კომისარებს დაუდგენიათ გაიფიცონ 12 ნოემბრიდან, თუ მათ ჯამაგირები არ მოუმატეს.

✦ **სათესლე პურის ხორბალი.** ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს ამ დღეებში ფოთიდან მოუვა 20 ვაგონი სათესლე პურის ხორბალი.

✦ **სამხედრო ტყვეების შესახებ.** შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ სამხედრო ტყვეთა განყოფილების მმართველი გუბერნიის კომისარს სთხოვს რომ ქ. ფოთის მცხოვრებს გ. დიდიას შეატყობინოს, რომ მისი შვილი, რომელიც ტყვეთ არის წაყვანილი ამ, ჟამათ სტამბოლში იმყოფება და მშობლებიდან თხოულობს 400 მანეთს გადაგზავნას.

### პ რ ო ვ ი ნ ც ი ა.

**ზესტაფონი.** აქაურ ქალ-ვაჟთა გიმნაზიაში 12 ოქტომბერს მოხდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის თანამოაზრეთა კრება და დაარსდა მოწაფეთა ორგანიზაცია.

**დ. ონი.** ონის კომისარი გუბერნიის კომისარს ატყობინებს, რომ ამ დღეებში ონის რაიონში მოუკლავთ ისრაელი ბუზიკაშვილი. წაუღიათ 500 მანეთი ფული.

**ს. ვაკის უბანი.** სამი ჯარის კაცი ჩავიდა სინაურიძის ვენახში. სინაურიძემ სთხოვა დაეტოვებიათ ვენახი და თავიდან მოშორებოდენ. ერთ ჯარის კაცმა სინაურიძე მოჰკლა.

**ქ. ხონი.** ხონის რაიონის კომისარი იტყობინება, რომ საერობო გადასახადი უკვე შეკრებილია და ამ დღეებში ხაზინას ჩაბარდება.

**ქ. სამტრედია.** ოქტომბრის 15-ს ადგილობრივ ახალ კლუბში კატო მიქელაძემ წაიკითხა ლექცია "ქალთა კავშირის შესახებ" ლექციას ხალხი ბლომად დაესწრო და ნასიამოვნები დაიშალა.

## ზამთრის პირზე.

უკვე ზამთარი მოახლოვდა.

აცივდა.

დღეს თუ ხვალ მიდამოები თეთრათ შეიმოსება და წარბებ-შეკრული ზამთარი თავის ძლევა-მოსილი სუსხით დაგვემუქრება.

ჩვენც მზად უნდა დავხვდეთ. უზრუნველ უნდა ვყოთ ჩვენი თავი სიცივისაგან, უზრუნველ უნდა ვყოთ შიმშილისაგან, მაგრამ არ არის შეშა, არ მოიპოება პური...

არ მოიპოება პური და შეშა ჯერ კიდევ შემოდგომის სილაღეში და, როდესაც გზები შეიკრება, თოვლი მაჯლაჯუნასავით დააწვება დედამიწას და მოძრაობის მაჯის ცემა შესწყდება,—შიმშილი და სიცივე თავის სიმკაცრეს დაანახვებს ქუთაისს.

სიმკაცრე შიმშილისა და სიცივისა ყველას ერთნაირათ შეაწუხებს, მაგრამ ამას უფრო იგრძნობს დემოკრატია, ის დემოკრატია, რომლის ინტერესების დამცველად გამოსულან ჩვენში არსებული პარტიები, წრეები თუ ორგანიზაციები.

დღეს, როდესაც ცხოველმყოფელი მზე თავის სხივებს კიდევ გვიგზავნის და გვათბობს, ცხოვრების უღელს კიდევ ვეწევით. ტვირთობით ჰყიდულობენ მცხოვრებნი ფიჩხს, საჭმელს ამზადებენ და სიმწარით იკვებებიან. სოფლებიდან თავისი ზურგით ჩამოაქვთ სიმინდის ფქვილი, ლობიო, ღვინო და სხვა სანოვაგე, მაგრამ ამას ახერხებენ დღეს და ხვალ ამის საშუალებაც მოესპობათ.

მოესპობათ ცხოვრების სახსარი.

და ამ მდგომარეობაში ჩავარდება არა მარტო დემოკრატია, არამედ შეძლებული ნაწილიც საზოგადოებისა.

პური და შეშა ეს, ორი სახსარი ადამიანის არსებობისა საძებნელი გვაქვს.

უნდა ვეძიოთ საშუალება ჩვენის არსებობისა, მაგრამ როგორ, რა სახით!..

საზოგადოების პურითა და შეშით დაკმაყოფილება მინდობილი აქვს სასურსათო კომიტეტს. გარდა ამ კომიტეტისა არავის უფლება არ აქვს შემოზიდოს შეშა, შემოზიდოს პური თუ სიმინდი.

თვითეულ პიროვნებას იმის უფლებაც არა აქვს, თავის სოფლიდან ჩამოიტანოს თავის ოჯახისათვის საკუთარი პური თუ სხვა სანოვაგე.

სასურსათო კომიტეტს კარგათაც რომ ჰქონდეს დაყენებული შეშისა და პურის მიწოდების საქმე, მომხმარებელს მაინც არ უნდა ესპობოდეს საშუალება, რომ სოფლებიდან თავისი საკუთარი სანოვაგე, თავისი ოჯახისათვის ჩამოიტანოს.

ავიღოთ შეშა.

დღეს ქუთაისში შეშა თითქმის არ მოიპოება.

არ იქნება შემდეგშიდაც.

სასურსათო კომიტეტის ცნობებით ქუთაისისათვის შორაპნის მაზრაში და გურიაში დამზადებულია და მზადდება რამდენიმე ათასი საჟენი შეშა, მაგრამ მხოლოდ დამზადება არ კმარა:

საქმე ის არის ჩვენის თვალით დავინახოთ.

მაგრამ გაისმის: „ვაგონებს არ გვაძლევენ: ვაგონები ჯარის გადაყვანა-გადმოსაყვანათ სჭირდებათო."

საკვირველია.

ჯარის გადაყვან-გადმოყვან ასე უცბათ არ დასრულდება. ჯარის ... ულათ გადაყვან-გადმოყვანა ზავის ჩამოგდების შემდეგაც გაგრძელდება. სანამ ცხოვრება ნორმალურ კალაპოტებში არ ჩადგება და—ჩვენ კი არაფერი გვეშველება.

საშველი არ არის.

მაგრამ ეჭვი არ არის იმაში, რომ საქმე ცოტაზე გაუმჯობესდება თუ კერძო პირებს შეშის შემოზიდვის ნებას მისცემენ.

სხვანაირათ სიცივით დავიხოცებით და სასურსათო კომიტეტი დღეში თუ რამდენიმე, ვაგონ შეშას მიიღებს,—ის ჯარის ნაწილებს დასჭირდება და მცხოვრებლები კი მომავალ ზამთარში სიცივის მსხვერპლნი შეიქნებიან.

პურის საკითხი კიდევ უფრო გამწვავებულია.

მართალია რამდენიმე დღის საყოფი პური ქუთაისში მოიპოება, მაგრამ იმედი არ არის, რომ რუსეთიდან ყოველთვის მივიღოთ საყოფი პური.

ესეც არ იყოს, სასურსათო კომიტეტმა უკვე შემოიღო პურის ბარათებით გაყიდვა. თვითეულ სულს მიეცემა მხოლოდ 1 გირვანქა პური. რუსეთის ქალაქებში ასეთი სისტემა დიდი ხანია შემოღებულია, მაგრამ ჩვენი ხალხი ჯერ ამას ვერ შეურიგდება და მერე ერთი გირვანქა პური არ ეყოფა.

რუსეთში პურთან ერთად ხმარობენ კარტოფილს „კრუპას" და რუსს არ შეუძლია ისე დანაყრდეს, თუ რამდენიმე თეფშში „ბორჩში" არ შეხვლიპა.

ჩვენში კი უფრო პურს ხმარობენ. და ერთი გირვანქა პური თითო კაცს თითო იჯრაზედაც არ ეყოფა.

ქუთაისში აუარებელი მოწაფეებია. პროპორციალურათ, რომ ავიღოთ რუსეთის არცერთ ქალაქში არ იქნება იმდენი მოწაფე, რამდენიც ქუთაისშია.

და თუ მოწაფემ მუცელი ვერ გამოიძღო არ ვიცი როგორი ხალისით უნდა ისწავლოს იმან. და დღეში გირვანქა პური რომ მას არ დააკმაყოფილებს, ეს თავის თავად ცხადია.

იყო ერთი გამოსავალი. ჩვენი ხალხი კარგათ მიირთმევს მჭადსაც, მაგრამ, რომ გორც ზევით ვსთქვით, მომხმარებელს ნებას არ აძლევენ სიმინდის ფქვილი სოფლიდან შემოზიდოს. შემოქონდათ ახლობელ სოფლელებს გასაყიდლათ, მაგრამ გარნიზონის სასურსათო კომისიას დაუდგენია, რომ სოფლიდან შემოზიდულ ყოველგვარ სანოვაგეს ნიხრი დაადვას. ჩვენი გლეხები ასეთ ნიხრებს ვერ შეეგუება და დღეს თუ ცოტა სანოვაგე მაინც შემოაქვთ, ხვალ ქუთაისის ბაზარი გაწმენდილი დარჩება.

გაწმენდილი დარჩება თეით მომხმარებელის ოჯახი და უფრო კი მუცელი.

მდგომარეობა მეტად გამწვავებულია.

დღეს თუ ხვალ უკვე ჩამოთოვს და ჩვენ ხელცარიელი დავუხვდებით ზამთრის სიმკაცრეს, სიმშილის საშინელებას.

დიდი შრომა და ენერგია სჭირდება იმ ორგანოებს, რომელთა ხელშია მთელი გუბერნიის ბედი და კერძოთ ქუთაისის.

ვნახოთ, სასურსათო კომიტეტი რა გზას დაადგება. **ნ. ი. —ნი.**

## ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს მე-19 ყრილობა.

**პირველი დღე ოქტომბრის 15-ს.** კრება გაიხსნა შავიქვის საბჭოს მრეწველთა საკუთარ დარბაზში. კრებას დაესწრენ ჭიათურის ქართველი და უცხოელი მრეწველებიდან ჭიათურის შავიქვის საბჭოს შემადგენლობა, კრება დაიწყო შუადღის 12 საათზე, თავმჯდომარეთ ერთხმათ აირჩიეს ბ-ნი **ნიკო თავდგირიძე.** უპირველეს ყოვლისა კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ჭიათურის საბჭოს განსვენებულ თავმჯდომარეს გ. ზდანოვიჩის ხსოვნას და თანაგრძობის დეპეშა გაუგზავნა ავადმყოფ კიტა აბაშიძეს.

შემდეგ დაიწყეს მორიგი კითხვების განხილვა. საბჭოს მოსამსახურეთა კავშირმა

წინადადება შეიტანა, რომ მის წარმომადგენელს მიეცეს უფლება გადამწყვეტი ხმით ესწრებოდეს ყრილობაზე. ამ კითხვის შესახებ მრეწველებმა იქონიეს მსჯელობა და დაადგინეს, რომ მოსამსახურეთა კავშირიდან ყრილობაზე დაესწრონ მხოლოთ სათათბირო და არა გადამწყვეტი ხმის უფლებით. მოსამსახურენი აგრეთვე ითხოვდენ, რომ მათ მისცე̃ოდათ უფლება საფინანსო კომისაში დასწრებისა. ეს კითხვა ყრილობამ საფინანსო კომისიას მიანდო. ყრილობამ აირჩია, საფინანსო კომისია, რომელიც მოხსენებას გააკეთებს ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ. საფინანსო კომისიაში შედიან: ა. პაპავა, აბულაძე, ჯაყელი, აბაშიძე, ანთელიძე, გასტანაკი, გუგუშვილი, ჭუბაბრია და სხვანი. თავმჯდომარემ ნ. თავდგირიძემ კრებას გაახსენა დიდ მნიშვნელოვანი აქტი საქართველოს ეკლესიის თავისუფლების აღდგენისა და მოუწოდა ყრილობას მიესალმოს მას ყველა ტაშის კვრით შეეგება თავმჯდომარის მოწოდებას და დაადგინეს გაეგზავნოს სრულიად საქართველოს ეკლესიის პატრიარქ-კათალიკოსს ყოვლად უსამღვდელოეს კირიონს მისალოცი დეპეში.

თავმჯდომარემ მოაგონა აგრეთვე კრებას რომ აქ იმყოფება ჭიათურის საბჭოს ერთი ძველი მოსამსახურეთაგანი ძველი რევოლუციონერი ვარლამ ჩერქეზიშვილი. ყრილობა ალტაცებით მიეგება ვარლამ ჩერქეზიშვილს. ვარლამ ჩერქეზიშვილმა, რომელმაც კარგა ხანს იცხოვრა უცხოეთში შავიქვის მრეწველობის და საზღვარგარეთის ბაზრის შესახებ მეტად ძვირფასი ცნობები წარმოუდგინა ყრილობას. „ამჟამათო, სთქვა ვარლამ ჩერქეზიშვილმა, შავიქვის წარმოება ყველგან შეჩერებულია; მთელ დედა მიწის ზურგზე განთქმულია ბრაზილიის და ინდოეთის შავიქვა. მაგრამ ჭიათურის შავქვას ვერცერთი მათგანი ვერ შეედრება, ეს უცხოეთის ბაზარზეც კარგა ხანია იციან. ინდოეთის შავ. ქვა უმეტეს ნაწილათ მიდის ინგლისში, ბრაზილიისა კი სამხრეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში. ჩვენ შავქვას ყველგან შევხვდებით, ანტვერპენში, ამსტერდამში და ინგლისშიც. ამის გარდა მე უნდა მოგახსენოთ, რომ (ქ. ლონდონში) არსებობს ინგლის რუსეთის ამხანაგობა, რომლის მდივნათ არის ჩვენი თანამემამულე დ. ღამბაშიძე. იგი თავს იდებდა თუ ჭიათურის მრეწველნი საჭიროთ დაინახავდენ მოეწოდებია ცნობები შავიქვის ფასის შესახებ დეპეშებით, რაც დიდ სამსახურს გაუწევდა ჭიათურის მრეწველობას. ყრილობამ მიიღო ვარლამ ჩერქეზიშვილის წინადადება.

საბჭოს წევრებმა ა. კრინიცკიმ, წერეთელმა და ბაქრაძემ წარმოადგინეს ცნობები რკინის გზის ტარიფის მომატების და აღებულ სესხის შესახებ. ყრილობამ დაადგინა რკინის გზის ტარიფის მომატების კითხვა გაირჩეს რკინის გზის წარმომადგენელის თანადასწრებით. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ ამ სამი უკანასკნელ წლის განმავლობაში ჭიათურის საბჭოს მდგომარეობა კრიტიკული შეიქმნა. შემოსავალმა თანდათან იკლო და დღეს იგი არაფერს არ წარმოადგენს ამიტომ საბჭოს დასჭირდა სესხის ძებნა; ამის გამო პეტრეს ქალაქში წავიდა საბჭოს განსვენებული თავმჯდომარე გ. ზდანოვიჩი, რომელმაც 50 ათასი მანეთი სესხი ძლივს იშოვა. ჩვენ კი გვჭიროდა სამასი ათასი მანეთი. ბოლო დროს სესხისთვის ჩვენ მივმართეთ ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტს, რომელმაც მხარი დაგვიჭირა და ამის შემდეგ სესხი მოვთხოვეთ ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს; ვაჭრობა მრეწველობის სამინისტრომ ჩვენი თხოვნა შეიწყნარა და თავის დასკვნის საქმე გადასცა ფინანსთა სამინისტროს, ამ რიგათ ჩვენ შეიძლება ვიშოვოთ 1 მილიონი მთავრობის სესხი მიმდინარე ხარჯებისთვის. გარდა ამისა კერძო ბანკებსაც მივმართეთ, მათ შორის ამიერ კავკასიის ბანკმა სამასი ათასი მანეთის კრედიტი გაგვიხსნა. ასე რომ კრედიტის შოვნა გვიადვილდება, მხოლოთ ამიერკავკასიის ბანკი თხოულობს მრეწველებისგან ხელ მოწერილ თამასუქებს. საბჭოს მიერ აღებული ვალი უდრის 882 ათას მანეთს პირველი კრება ამით დასრულდა, შემდეგი კრება დაინიშნა ორშაბათ დილის 10 საათზე.

## საქართველოს ეკლესიის გარშემო

რუსეთის საეკლესიო უწყება უკანონობას განაგრძობს: მიუხედავად იმისა, რომ ბოდბის მონასტრის იღუმენის ანასტასია ვისოცკი თვით რუსეთის სინოდის მიერ ჯერ კიდევ ზაფხულში დათხოვნილი იყო თანამდებობიდან, ყოფილ სასინოდო კანტორის რუს წევრებმა ამ დღეებში შეადგინეს უქაზი, რომლის ძალით გადაყენებულ იღუმენიას უნდა მისცემოდა 5100 მანეთი სინოდისაგან გაცემული მონასტრის საჭიროებისათვის. საკათალიკოზო საბჭოს კანცელარიამ მოწერილობა გაუგზავნა კანტორის ხაზინადარს, რომ ჩეკისთვის ხელი არ მოეწერა, ვინაიდგან „პრისუტსტვიის“ დადგენილება უკანონოა და ნიშნავს ეკლესიის თანხის გაქურდვას. ესევე სწრაფად შეატყობინეს ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ა. ჩხენკელს, რომელმაც მეორე დღესვე სასინოდო კანტორას გამოუგზავნა ორი მოწერილობა: პირველი, რომ ფული მისცემოდა არა იღუმენიას, არამედ მონასტრის სამეურნეო საბჭოს, თანახმად ამიერ კავკასიის კომიტეტის მოწერილობისა ამა წლის 10 ივლისის № 10719 ნომრით. მეორე ოფიციალწერილში ა. ჩხენკელი ეკითხება ეპისკოპოზ გრიგოლს, მართალია, რომ ყოფილი იღუმენია ვისოცკი დღესაც განაგრძობს ბოდბის მეტოქში ცხოვრებას, და, თუ მართალია, რა უფლებით?!

12 ოქტომბერს ყ. სასინოდო კანტორას ესტუმრა საოლქო სასამართლოს პროკურორი, რომლის წინაშე ბაქოს ეპისკოპოზ გრიგოლმა აღძრა საჩივარი საკათოლიკოზო საბჭოს წევრებზე. ამხანაგების მონდობილობით პროკურორს ჩვენება მისცა საკათალიკოზო საბჭოს წევრმა რ. ივანიცკიმ; მან მოახსენა დაწვრილებით საქმის ვითარება და ის დაბრკოლებანი, რომელიც საქართველოს ეკლესიას ელობება ეპისკოპოზ გრიგოლის ინტრიგების გამო. თუმცა პროკურორმა განუცხადა, რომ მათთვის სავალდებულო არ არის ჩვენების მიცემა, მაგრამ საბჭოს წევრებმა მოისურვეს ბრალმდებელთან ლაპარაკი, რადგანაც საკათალიკოზო საბჭოს მოქმედებებში არაფერია დასამალი, პირიქით იგი დაინტერესებულია, რომ რუსის საზოგადოება გაეცნოს სინამდვილეს და ამნაირად ეპისკოპოზ გრიგოლის ცალმხრივი ცნობებით არ იკვებებოდეს.

ბოდბის მონასტრის ქონების მისაღებათ გაგზავნილი კომისია არქიმანდრიტი ნაზარის თავმჯდომარეობით უკვე დაბრუნდა თბილისში. მონასტრის ჩაბარების დროს კომისიას თან ახლდნენ სიღნაღის მაზრის რწმუნებულნი და სამაზრო კომისარი მათე ახმეტელაშვილი. იქ დარჩენილ რუს მონაზონებმა გამოაცხადეს, რომ ისინი ექვემდებარებიან საქართველოს ეკლესიას და შუამდგომლობა აღძრეს მონასტერში დარჩენის შესახებ. თხოვნა შეწყნარებულია. ახლად დანიშნულ იგუმენია ნინოს (ვაჩნაძეს) საკათოლიკოზო საბჭომ გაუგზავნა მოწერილობა, რომ მას თანაბრად ეზრუნა ყველა მონოზნებზე განურჩევლად ეროვნებისა.

## ქართული თეატრი.

ქუთაისი, 15 ოქტომბერი.

**სულელი, დრამა 3 მოქმედებად, ნ. შიუკაშვილისა.**

ქუთაისის დრამატიულმა საზოგადოებამ უკვე დაიწყო ქართული წარმოდგენების გამართვა და სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ დაიწყო საყურადღებო პიესით.

სახელად ამ პიესას ჰქვია: „**სულელი**“. პიესა დაწერილია ძველი რეჟიმის დროს და აქამდე განისვენებდა ძველი რეჟიმისავე ბრჭყალებში:—აწ გარდაცვალებული, ავადმოსაგონებელი ცენზურა ნებას არავის აძლევდა პიესის სცენაზე გამოტანისას!..

დღეს კი, ამ თავისუფლების დღეს—ნ. შიუკაშვილის „სულელმაც“ იხილა მზის სხივები და ნათლად დაანახვა მაყურებელს: რამდენი დამცირება, ტანჯვა და ვაება გამოიარეს თავისუფლებისთვის მებრძოლებმა, ვიდრე დაამხობდენ ძველს წესწყობილებას!

ნ. შიუკაშვილის პიესა ერთი ეპიზოდი, ერთი სურათია ამ ტიტანიურ ბრძოლიდან აღებული...

უპატრონოსა, უფლება-აყრილსა და დამონებულს ერთ-ერთს ოლქს ჩვენის ქვეყნისას უფროსობს ვინმე ბარონ შტრონგერი (მ. გელოვანი), შუახანს გადასული ღენერალი, კაცი მეტად თვალთმაქცი, გარყვნილი და მექრთამე...—მილიონისთვისაც არ დავარღვევ კანონსაო! ეუბნევა იგი თავის კანცელარიის მმართველს გერცინსკის (ვ. ბარველი), მაგრამ მოიჯარადრე ბალდასარ მდოიანცს კი (ვ. არაბიძე) სანაძლეოს სახით სიცილითა და ხარხარით სცინცლავს 50,000 მანეთს. ეშმაკმა სომეხმაც კარგად იცის ფასი ამ სანაძლეოსი და სიამოვნებით ებმევა ოლქის უფროსის „მახეში“...

სული სულს იცნობს, გული გულს და ორივენი მოხერხებულად აცარიელებენ ხაზინას,— ხალხის ნაოფლარს.

ბარონ შტრონგერს გვერდში ამოსდგომია მისი ღირსეული მეუღლე ბარონესსა შტრონგერი (ე. ციმაკურიძე), ყოვლად ფეხ-სუბუქი და ვნებიანი დედა-კაცი... ცოლ-ქმრის კავშირი, მეუღლეობა, მხოლოდ გარეგნულია: ორივენი ერთმანეთს ჰღალატობენ და სატრფოებს ხელთათმანებივით იცვლიან...

ასეთივე ყოფა-ცხოვრებისა და ნამუსისა არიან ცოლ-ქმარნი ფონ-გაუფმანი - ჯარის უფროსი (ა. ყალაბეგიშვილი) და ადელაიდა ლვოვნა. მათ შორის დატრიალებენ ახალგაზდა, მაგრამ ბიუროკრატიულის სამსალით უკვე მოშხამულნი გერცინსკი—მლოდინე გუბერნატორობისა და ნიქსი (დ. ძნელაძე)—ადიუტანტი გაუფმანისა...

გერცინსკი დიდის გულმოდგინეობით უფრთხილდება თავის უფროსის, ბარონ შტრონგერის სიცოცხლეს, ჰმეთაურობს საიდუმლო პოლიციას და ცივ-ნიავს არ აკარებს იმის ოჯახს, ვისგანაც გამოელის წარმატებასა და დაწინაურებას, ნიქსი კი არა ნაკლების ერთგულებით თავსევლება ბებერი ფონ-გაუფმანის ახალგაზდა მეუღლეს—ადელაიდა ლვოვნას...

ყველა ზემოდ ჩამოთვლილი პირები უკვე ნაცნობი ტიპებია!—ესენი არიან ხალხის სისხლით დამთვრალნი, ჩინ-ორდენების ტრფიალით თავს-ბრუ დასხმულნი და გარყვნილებით გონება-დაკარგულნი ძველი რეჟიმის მოხელენი.

მათი გახრწნილება და ობობობა უფრო თვალსაჩინო ხდება, როდესაც სცენაზე გამოდის გაუფმანის დისწული ახალგაზდა ლიზი (ნ. ჩხეიძე).

ლიზი მგლოვიარეთაა. მამა მისი, ყოვლად პატიოსანი და ხალხის მოყვარული გუბერნატორი, ვიღაცებს მოუკლავთ... ლიზი მის მახლობლებს დაურწმუნებიათ, რომ მამა მისი მოკლულია იმავე ხალხისაგან, რომელსაც იგი კარგად ექცეოდაო. ლიზიმ შეიძულა ეს ხალხი, (ქართველობა), შეიძულა მოძრაობის ხელმძღვანელიც და ღრმად დამწუხრებული, შურის-ძიებით და სულდგმულობს...

იმ დროს, როდესაც აქ,—შტრონგერ—გაუფმანისას, ყველა თავდავიწყებას მისცემია და მზადაა გაყვლიფოს და გახრწნას ყოველივე და ყველაფერი, იქ—შევიწროებულ და უფლება-აყრილ ხალხის წიაღში, კიდევ ჩაისახა ერთი ჯგუფი მებრძოლთა, რომელთაც გადასწყვიტეს მოკვლა შტრონგერისა და ფონ გაუფმანისა, როგორც ხალხის მტრებისა.

გიორგი ბარათაშვილი (მ. ქიაურელი) წევრია ამ ჯგუფისა...

იგი თავს ისულელებს, მოდის შტრონგერის მეუღლესთან, ეცნობა მას, თავს აწონებს არშიყ ბარონესსას, რომლის ბრძანებითაც ოლქის უფროსი თავის კანცელარიის მოხელედ ნიშნავს, თუმცა სულითა და გულით ეჯავრება ქართველები...

აქედან იწყება დრამის ხლართი... ხალხისათვის თავდადებული გიორგი სულელივით დაკუნტრუშებს დიდებულთა ოჯახში, ოხუნჯობს, მკითხაობს, დასცინის ხალხსა და მათს მეთაურებს. მაგრამ ეს არის მხოლოდ მისი გარეგნობა, გათავისწინებული კი—იგი კანცელარიაში ეძებს საბუთის ქაღალდებს, სწავლობს შესავალ-გასავალს სახლისას და ელის იმ დროს, როცა ორივე ბობოლას „ჯოჯოხეთის მანქანით“ ააფეთქებს...

ერთს ისეთს წუთს, როდესაც გიორგის ოხუნჯობით თავს-ბრუ დასხმული ჩინოსნები მეორე ოთახში გავლენ, ხოლო გიორგი კი თვისთვის გეგმას აწყობს, შემოვა ლიზი!..

მცირე, მაგრამ მკაცრი შელაპარაკების შემდეგ, ლიზი გამოსტეხავს გიორგის, რომ იგი წევრია „სიკვდილის კავშირისა“.

გიორგი უშიშრად უხვდება ლიზის მუქარას და თავ-განწირვით უხსნის ლიზის მისიანების ბოროტებას. აქვე გამოირკვევა, რომ მამა ლიზისა მოუკლავთ გაუფმანისა და შტრონგერის ბრძანებით და ეს მკვლელობა ქართველ ხალხისთვის მოუხვევიათ თავზე.

ასეთი განცხადება აახლოვებს ორს ახალგაზდას და ახლა ორივენი იღებენ მონაწილეობას შეთქმულებაში...

ერთ უბედურ დღეს, როდესაც „ჯოჯოხეთის მანქანა“ უკვე მოაწყეს და ის იყო უნდა გასულიყვენ კიდეც ოთახიდან გაიძვერა გერცინსკი თავს დაახვევს პოლიციელებს, დააჭერინებს გიორგის, ჩააქრობს მანქანის პატრუქს და დიდის ამბით ულოცავს ღენერლებს სიკვდილიდან გადარჩენას...

გაცეცხლებული ფონ-გაუფმანი სილას გაარტყამს პოლიციელთა ხელში გაბაწრულ გიორგის. ლიზი ვეღარ ითმენს ასეთს შეურაცხყოფას საყვარელის კაცისას (ლიზის თავდავიწყებით შეუყვარდა გიორგი) და თავის ხელითა ჰკლავს თავის ბიძა გაუფმანს.

— ცუდი ღამე გითენდებათო! —ეუბნება ბოროტად გერცინსკი ლიზის და გიორგის.

— ცუდი დღე გიდგებათო! უპასუხებს ლიზი და ზიზღით ათვალიერებს ამ ამბით თავზარ-დაცემულ შტრონგერსა და ყველა იქ მყოფთ.

ასეთია ქარგა, ჩონჩხი დრამისა..

როგორიღა იყო პსიქოლოგიურათა და ტეხნიკურად მისი განსახიერება? რას გვასწავლის ეს დრამა და რა მოგვცა მან საყურადღებო, როგორც თავისის იდეით, ისე გარეგნობით—მსახიობთა თამაშით? ამაზე შემდეგ ნომერში.

ია—ძე.

## წერილი რედაქციის მიმართ.

მოქ. რედაქტორო*

თქვენი გაზეთის № 147-ში მოთავსებული იყო ცნობა იმ საჩივრის შესახებ, რომელიც შეუტანიათ ქალაქის გამგეობაში, ვითომდა ქალაქის ბიბლიოთეკის მოკეთეებს, ჩემზე, სადაც ბრძანებენ, რომ ვითომც მე ვერ უძღვები წესისამებრ ბიბლიოთეკასამკითხველოს. თუ როგორ უძღვები მე სამკითხველოს და რამდენი შრომა მიმიძღვის მისი ფეხზე დაყენებისთვის, ეს იციან ყოფილმა საბიბლიოთეკო კომისიის თავმჯდომარეებმა და იმ 1965 ხელის მომწერლებმა, რომლებიც მართლაც წიგნების კითხვით არიან დაინტერესებულნი და არა იმათ, რომლებიც სამკითხველოში საქურდლათ და სალაზღანდაროთ დაიარებიან. სასაცილოა, რომ ეს ბატონები ბიბლიოთეკის მოკეთეებათ აცხადებენ თავს და მათს რიცხვში ისეთიც აწერს ხელს, რომელსაც დიდხანს ვამჩნევდი სამკითხველოში გაზეთების პარვას და, როდესაც დავიჭირე ქურდობაში, სამკითხველოში შემოსვლა აუკრძალე. ხა! ხა! ხა! გაზეთის ქურდი და სამკითხველოს ერთგული! მეორე ხელის მომწერთაგანია ის პირი, რომელიც სასწავლებელში სიარულს ემალებოდა და მთელ დღეებს ცუღლუტობაში ატარებდა ბიბლიოთეკაში და მით ხელს გვიშლიდა. მესამე ხელის მომწერის ქურიუმა საქციელმა სამკითხველოში, მე კი არა, დარაჯიც კი გააბრაზა. შემეძლო სხვების დახასიათებაც, მაგრამ არ მინდა წავართვა მკითხველს ძვირფასი დრო, რადგან ესეც თვალსაჩინოთ ჰყოფს, თუ რა ჯურის ხალხი ბრძანებულან ჩემი მომჩივნები. თუ კარგი ბიჭები ბრძანდებიან შორიდან კი ნუ იკბინებიან, პირში წამიდგენ, როგორც მე, აგრეთვე იმ მკითხველებს, რომლებიც ათი-თორმეტი წელიწადია განუწყვეტლივ დაიარებიან და კარგად იციან წარსულიც და აწმყოც ამ ბიბლიოთეკისა. ქუთ. ქალ. ბიბლიოთ. გამგ. პ. ლორიას ასული.

*) ვბეჭდავთ ამ წერილს ქ-ნ პ. ლორიას ასულის თხოვნით და მისივე სრულის პასუხის გებით.

რედაქტორ-გამომცემელი

დ. ბ. კვირკელია.


## რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. 47 წ. |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 49 „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 55 „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 42 „ |
| „ | — დილის — | 10 ს. 20 „ |
| ფოთიდან | — დილის — | 8 ს. 17 „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. „ |
| | დილის — | 9 ს. 10 „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 8 ს. 25 „ |
| „ | — ღამის — | 10 ს. 20 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს. 1 „ |
| „ | — დღით — | 1 ს. 40 „ |
| „ | — დილის — | 6 ს. 20 „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 3 ს. 18 წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 7 ს. 57 „ |
| | — დღით — | 2 ს. 37 „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 4 ს. 40 „ |

## ექიმები

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 8 ტელეფონი № 101.

**ი. ჩარექიშვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.

(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.

მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135.


## ამიერ-კავკასიის ბანკის ბალანსი

1917 წ. 1 ღვინობისთვეს. (თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5—26)

მოქმედება დაიწყო 1917 წ. 3 მკათათვეს.

| აქტივი. | მან. | კ. |
|---|---|---|
| კასა და სახელდახელო ანგარიშები | 2.500,578 | 51 |
| განაღდებული თამასუქები და სხვა ვალდებულებანი | 2.368.012 | — |
| სპეც. სახელდახელო ანგარიში და სესხი გირაოდ მიღებული | | |
| ა) სარგებლიან ქაღალდებში | 303.520 | 10 |
| ბ) საქონელსა და რკინის გზის კვიტანციებში | 280.757 | 83 |
| ბანკის კუთვნილი სარგებლიანი ქაღალდები | 185.416 | 34 |
| ბანკის კორესპოდენტები: | | |
| მათი ანგარიშით (Loro) | 932.350 | 49 |
| ჩვენი ანგარიშით (Nostro) | 363.692 | 78 |
| მიმდინარე ხარჯები | 36.078 | 45 |
| ბანკის მოწყობილობა | 24.732 | 73 |
| გარდამავალი თანხები | 200.413 | 65 |
| საკომისიოდ მიღებული თამასუქები და სხვა საბუთები. | 54.544 | 80 |
| საორგანიზაციო ხარჯები | 83.334 | 43 |
| ბანკის უძრავი ქონება | 321.880 | 41 |
| ჯამი | 7.855.321 | 67 |

| პასივი | მან. | კ. |
|---|---|---|
| ძირითადი თანხა (12000 აქცია—თითო 250 მან.) | 3.000.000 | — |
| ვადიანი თანხები და სახელდახელო ანგარიში | 3.458.031 | 55 |
| ბანკის კორესპონდენტები: | | |
| მათი ანგარიშით (Loro) | 237 | 50 |
| ჩვენი ანგარიშით (Nostro) | 599.688 | 98 |
| საკომისიოდ მიღებული თამასუქები და სხვა საბუთები. | 54.544 | 80 |
| სახელდახელო ანგარიშისა და ვადიან თანხების სარგებელი | 17.918 | 81 |
| აღებული სარგებელი და კომისია 1917 წ. ანგარიშისა | 201.895 | 79 |
| „ „ „ „ 1918 წ. „ | 21.072 | 12 |
| გარდამავალი თანხები | 482.139 | 31 |
| გამოგზავნილი თანხები | 19.490 | — |
| სახელმწიფო გადასახადი | 302 | 81 |
| ჯამი | 7.855.321 | 67 |

სტამბა „შრომა“ პუშკინის ქუჩა ვორონცოვის სახლი, ქუთაისში